მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქსანთან მდებარე მდინარე მტკვრის დინების არეალის მიმდებარე ტერიტორიების ზედაპირული არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ანგარიში



პროექტის შემსრულებელი ორგანიზაცია: ლეიერკო (405721713)

პროექტის ხელმძღვანელი: დავით დარეჯანაშვილი

თბილისი 2024

სარჩევი

მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა. კულტურული მემკვიდრეობის ფონური ინფორმაციის კვლევა ---------- 3

კულტურული მემკვიდრეობის რეცეპტორების იდენტიფიცირება საპროექტო ტერიტორიის აღწერა ---------- 6

მეთოდოლოგიური გზამკვლევი ---------- 11

ტერიტორიაზე განხორციელებული არქეოლოგიური დაზვერვების შედეგები ----13

რეკომენდაციები და შემარბილებელი ღონისძიებები----------18

დანართი 1, რუკები ----------20

დანართი 2, ფოტომასალა ---------- 21

- მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა. კულტურული მემკვიდრეობის ფონური ინფორმაციის კვლევა

შიდა ქართლის მხარე - მხარე აღმოსავლეთ საქართველოში, მოიცავს ისტორიულ–გეოგრაფიული პროვინცია შიდა ქართლის ცენტრალურ ნაწილს. მხარეს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი).

მცხეთის, კასპის, გორის, ქარელის და ხაშურის მუნიციპალიტეტები წარმოადგენენ ნაწილს ისტორიული შიდა ქართლისა, რომელსაც ძველად „ზენა სოფელი“ ეწოდებოდა. თვით ისტორიული ქართლი გეოგრაფიული მდებარეობისა და უმთავრესი მდინარის მტკვრის მიხედვით დანაწილებული იყო ზემო, შუა ანუ შიდა და ქვემო ქართლად.

შიდა ქართლი ვრცელდებოდა აღმოსავლეთით არაგვსა და თბილისამდე, ჩრდილოეთით - კავკასიონის ცენტრალურ ქედამდე, დასავლეთით - ლიხის ქედამდე, ხოლო სამხრეთით - თრიალეთის ქედამდე და ფარავნის ტბამდე. შიდა ქართლის მტკვრის სამხრეთით მდებარე ნაწილს გაღმამხარი ეწოდებოდა. ეს უკანასკნელი ისტორიული წყაროების მიხედვით ზოგჯერ არ შედიოდა შიდა ქართლში, მაშინ როცა მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანა ყოველთვის შიდა ქართლში იგულისხმებოდა.

XVII-XVIII საუკუნეებში შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს ზემო ქართლი ეწოდებოდა. XVII საუკუნის პირველი მეოთხედიდან, ოსმალეთის მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ ისტორიული ზემო ქართლი დიდი ხნით ჩამოშორდა ქართლის სამეფოს და სახელწოდება გადავიდა შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილზე. ამჟამად ისტორიული შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონისა (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი) და დუშეთის მუნიციპალიტეტში შედის. ტერიტორიის ფართობი - 4807 კვ/კმ. ადმინისტრაციული ცენტრი - ქ. გორი. კლიმატი – მხარის კლიმატი კონტინენტურია, საშუალო წლიური ტემპერატურაა დაახლოებით 11 °C, შესაძლებელი მაქსიმუმია 42 °C, ხოლო შესაძლებელი მინიმუმი - 32 °C. ქარის ენერგეტიკული რესურსი (1000 კვტ/სთ 1 კმ2-ზე) - 1000-1500. ნალექების რაოდენობა წელიწადში საშუალოდ 500 მმ-ია, მაქსიმუმი – 760 მმ, მინიმუმი 330 მმ.

წყლის ძირითადი არტერიები - მხარის ტერიტორიაზე მიედინება მდინარეები: მტკვარი, დიდი და პატარა ლიახვი, მეჯუდა, ტანა, ქსანი, თორთლა, თეძამი, ჭარებულა, ლეხურა, სურამულა, ფრონე, ძამა და სხვ. ასევე შიდა ქართლში მოედინება ბუნებრივი სამკურნალო წყლები და სუფთა წყაროს წყლები.

მხარის იმ ნაწილში, რომელსაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება აკონტროლებს, 373 დასახლებული პუნქტია, მათ შორის:

ქალაქი - 4: გორი, კასპი, ქარელი, ხაშური; დაბა - 2: სურამი, აგარა; სოფელი - 366. შიდა ქართლის ჩრდილოეთით და სამხრეთით კავკასიონისა და თრიალეთის მაღალი ქედებია, რომელთა მტკვრისაკენ დაშვებული განშტოებები ზეგნებს ქმნიან. გაღმამხარის მდინარეები - ძამა, ტანა, თეძამი და კავთურა ქვედა წელში მცირე ვაკეებს ქმნიან, ხოლო მტკვრის ჩრდილოეთით დოღლაურის, ტირიფონის და მუხრანის ვრცელი ველებია, რომლებსაც სერავს მდინარეები: აღმოსავლეთის ფრონე, ლიახვი, ლეხურა, ქსანი და არაგვი. შიდა ქართლის მდინარეთა უმრავლესობა უძველეს დროიდანაა გამოყენებული სარწყავად.

მდინარე აღმოსავლეთ ფრონედან მდინარე არაგვამდე მტკვრის მარცხენა სანაპიროს გასწვრივ გაწოლილია კვერნაქის სერი. მისი სამხრეთი ფერდობის ფლატეებსა და ქარაფებში ხელოვნური გამოქვაბულებია. კვერნაქის სერის სამხრეთით, მტკვრის პირას მდებარეობს აშურიანის ველი, რომელსაც უძველესი დროიდან საზამთრო საძოვრად იყენებდნენ. შრომის გარკვეული ორგანიზაციის საფუძველზე, შიდა ქართლის ვრცელი დაბლობები და საზაფხულო და საზამთრო საძოვრები ქმნიდნენ ინტენსიური მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარების შესაძლებლობას. აქ გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო გზები, როგორც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ (ე.წ. არაგვის გზა), ისე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ.

ადრინდელ და შუა ფეოდალურ ხანაში შიდა ქართლის ტერიტორია ქართლის საერისთავოში შედიოდა. მონღოლთა შემოსევების შემდეგ მას გამოეყო ქსნის საერისთავო (XIII ს.), შემდეგ კი სხვა დიდი და მცირე ერთეულები: არაგვის საერისთავო (XIV ს.), საციციანო (XIV ს.), საამილახვრო (XV ს.), სამაჩაბლო (XV ს.), სამუხრანბატონო (XVI ს.). XVI საუკუნიდან ქართლის სამეფო დაიყო ოთხ სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულად - სადროშოდ, რომელთაგან სამი ჩამოყალიბდა შიდა ქართლის ტერიტორიაზე. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ეს ვრცელი ტერიტორიები თბილისის გუბერნიის გორისა და დუშეთის მაზრებში შედიოდა.

ისტორიული შიდა ქართლი სხვა რეგიონებისგან გამოირჩევა ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით და კარგი ბუნებრივი პირობებით. საქართველოს ისტორიის ყველა ეტაპზე ყოველთვის წარმოადგენდა სახელმწიფოებრივი ცხოვრების საყრდენს. შიდა ქართლში გამოვლენილი და შესწავლილი არქეოლოგიური ძეგლებით დასტურდება, რომ ეს ტერიტორია დასახლებული ყოფილა ძვ.წ. IV-III ათასწლეულებიდან. მას შემდეგ უწყვეტად არის წარმოდგენილი ყველა პერიოდის არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლი.

მკვლევარებს წინა სახელმწიფოებრივი გაერთიანებების არსებობის მანიშნებლად მიაჩნიათ რეგიონში გათხრილი ძვ.წ. II-I ათასწლეულების არქეოლოგიური ძეგლები: მცხეთა- სამთავროს ვრცელი გორანამოსახლარი და სამაროვანი, ნარეკვავის ნამოსახლარი და სამაროვანი (მცხეთის რ-ნი), ხოვლეს ნამოსახლარი, აღაიანის ნამოსახლარი და სამაროვნები, გრაკლიანი გორის (კასპის რ-ნი) მრავალფენიანი ნამოსახლარი და სამაროვანი. ეს ძეგლი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რადგან აქ აღმოჩენილ ძვ.წ. X საუკუნით დათარიღებული საკულტო ნაგებობაში, საკურთხევლის ბაზისზე დაფიქსირებულია უძველესი (არამეული?) წარწერის ფრაგმენტები, ამავე ძეგლზეა აღმოჩენილი საწონი ერთეულები.

ძვ.წ. VII-VI სს. იწყება რიგი მაღალგანვითარებული პუნქტების დამოუკიდებელ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრებად ჩამოყალიბება. ეს კარგად დასტურდება ამ პერიოდის ახალგორის, ყანჩაეთის, წინწყაროს, ტახტიწყაროს და სხვა პუნქტებში გათხრილ სამარხებში აღმოჩენილი მდიდრული ინვენტარით (ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო, რკინა). მკვლევარების მიერ ეს სამარხები მიჩნეულია საგვარეულო არისტოკრატიის კუთვნილებად.

ძველ ბერძნულ, რომაულ და ქართულ საისტორიო წყაროებში იხსენიება ქართლის მნიშვნელოვანი სტრატეგიული, საფორტიფიკაციო და კულტუტრულ-რელიგიური ცენტრები: მცხეთა, სარკინე, სამადლო, ნასტაგისი, ძალისი, აღაიანი, კასპი, უფლისციხე, გორი, ურბნისი, დედოფლის მინდორი და სხვ. მეცნიერთა აზრით, ყველა მათგანი ეტალონური მნიშვნელობისაა და შეიცავს საბაზისო მონაცემებს ისეთი პრობლემების გადასაჭრელად, როგორიცაა სახელმწიფოს წარმოშობა და ფორმირება, ურთიერთობები გარე სამყაროსთან (მესოპოტამია, ირანი, საბერძნეთი, რომი და სხვ.), პირველი ურბანული ცენტრების ჩამოყალიბება საქართველოში, სახელმწიფოს ორგანიზაცია და სტრუქტურული დაყოფა, რელიგიურ-საკულტო ცენტრების წარმოშობა-ფუნქციონირება და სხვ.

ძვ.წ. IV-III საუკუნეებში შიდა ქართლში შეიქმნა მძლავრი სახელმწიფოებრივი გაერთიანება იბერია, რომლის ცენტრი და დედაქალაქი მცხეთა იყო ახ.წ. VI საუკუნის დასაწყისამდე. მცხეთაზე გადიოდა მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო გზები, მათ შორის ე. წ. აბრეშუმის გზა. ამ გზაზე ან მის უშუალო სიახლოვეს იყო განლაგებული ქალაქები მცხეთა, კასპი, აღაიანი, უფლისციხე, გორი, ურბნისი და სხვ. ასევე სტრატეგიული და კულტურულ- რელიგიური ცენტრები გრაკლიანი, ციხია გორა, დედოფლის გორა და დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექსი. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მრავალფეროვანი არტეფაქტებისა და წერილობითი წყაროების შესწავლის საფუძველზე დადგენილია, რომ ეს პუნქტები ელინისტურ-გვიანანტიკური ხანის (ძვ.წ. III-I და ახ.წ. I-III სს.) განვითარებული საქალაქო ცენტრები იყო. რომ მათ ინტენსიური ვაჭრობა ჰქონდათ ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან, სელევკიდების

სირიასთან, სომხეთთან, პართიასთან, სასანიდურ ირანთან და სხვ. ისინი ეტალონურ ძეგლებს წარმოადგენენ კავკასიის არქეოლოგიური კულტურების დათარიღებისათვის, ურბანული პროცესების კვლევისა და საზოგადოების განვითარების ისტორიის შესასწავლად. ზოგიერთ ძეგლზე - მცხეთა, ნასტაგისი, ურბნისი, აღაიანი კარგად ჩანს პირველი ქრისტიანული თემების გაჩენა და ის ეთნიკური სიტუაცია (მაგალითად ებრაელთა პირველი გამოჩენა ქართლში), რომელიც უძველესი ქალაქების აღმოცენებას ახლდა თან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ასევე ანტიკური ხანის სხვადასხვა სახის სათავდაცვო და საქალაქო ნაგებობების, სასახლეების, ტაძრების, აბანოების ნანგრევები, მავზოლეუმის ტიპის აკლდამები და სხვ. ზემოხსენებული პერიოდის მრავალრიცხოვანი ძეგლის გარდა, განსახილველ რეგიონში წარმოდგენილია ასევე შუა საუკუნეების ყველა პერიოდის ეკლესია- მონასტრები, ნასოფლარები, ნაქალაქარები, სამაროვნები, ფეოდალთა ციხე-დარბაზების ნანგრევები და სხვ.

მუნიციპალიტეტში არქიტექტურის და კულტურის მრავალი მნიშვნელოვანი ძეგლია. დაზუსტებული და აღრიცხულია კულტურული მემკვიდრეობის ასობით ძეგლი და ობიექტი, რაც, ცხადია, ამ რეგიონის მატერიალურ-კულტურულ ფასეულობათა მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს.

◊ კულტურული მემკვიდრეობის რეცეპტორების იდენტიფიცირება, საპროექტო ტერიტორიის აღწერა

საპროექტო მონაკვეთი მოიცავს მდ. მტკვრის აუზს მცხეთის მუნიციპალური ცენტრის მონაკვეთს და მიუყვება მდინარის კალაპოტს სოფელ ქსანთან.

მდინარე მტკვრის შუა წელი, თავისი მარჯვენა და მარცხენა შენაკადებითა და მათი ხეობებით, კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე წარმომადგენლობითია, რაც აიხსნება რეგიონის მდებარეობითა და მისი მნიშვნელობით. გარდა იმისა, რომ შიდა ქართლი მუდმივად იყო ქართული სახელმწიფოების პოლიტიკური და გეოგრაფიული გული, მდინარე მტკვრის ხეობა ეპოქების მანძილზე გახლდათ საერთაშორისო მიმოსვლის არტერია. სწორედ ამ მნიშვნელობამ განაპირობა ის, რომ მდინარე მტკვრის შუა წელის აუზში ვხვდებით არქეოლოგიურ და ისტორიულ ძეგლებს ეპოქების მიხედვით უწყვეტად. მათ შორის არის როგორც ნაქალაქარები და ნასოფლარები თავისი სამაროვნებითა და საკულტო თუ სათავდაცვო ნაგებობებით, ისე ცალკე მდგომი ციხეები, კოშკები, ეკლესია-მონასტრები და საინჟინრო ნაგებობები. ამ კულტურული მემკვიდრეობის ერთი ნაწილი ისტორიული

თვალსაზრისით ღირებულ ობიექტს წარმოადგენს, მეორე ნაწილი კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლია, რომელთა შორისაა ეროვნული და მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლები.

დღეისათვის არსებული ინფორმაციით, ადამიანს დასახელებული ტერიტორიის ათვისება ადრე სამიწათმოქმედო პერიოდიდან (ქრისტეს შობამდე V ათასწლეული) დაუწყია. ამ პერიოდის მძლავრი სამოსახლო ბორცვები ძირითადად მტკვრის სანაპირო ზოლში არის გამოვლენილი. ჭალისპირა ველებზე შუა ბრინჯაოს ხანის არაერთი ყორღანული ტიპის სამარხი არის გათხრილი. მთისწინა ზონებში, ხელოვნურ თუ ბუნებრივ ბორცვებზე გვაინი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის დასახლებები არიან შეფენილნი, რომლებსაც გარს ვრცელი სამაროვანი უბნები აკრავთ. შიდა ქართლი გამორჩეულია ანტიკური, ელისნისტური და რომაული ხანის ნაქალაქარების, ტაძრების, სასახლეების, ვილებისა და მდიდრული სამარხების აღმოჩენის ფაქტებით. ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, შიდა ქართლიმა ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების ისტორიაში არსებითი წვლილი შეიტანა. ნარატიული და არქეოლოგიური წყაროებით დადასტურებულია, რომ ამ ტერიტორიაზე ე. წ. „არაგვის გზის“ გასწვრივ, რამდენიმე მძლავრი თავდაცვითი, ეკონომიკური, კულტურული თუ რელიგიური ცენტრი ჩამოყალიბებულა. შიდა ქართლი განსაკუთრებულ როლს თამაშობდა საქართველოს გვიანი შუა საუკუნეებსა და უახლოეს წარსულში მიმდინარე ავბედით მოვლენებში. მათ შორის, აღსანიშნავია, რომ შიდა ქართლის ჩრდილოეთი მუნიციპალიტეტები რუსეთის ფედერაციის მიერ დღემდე ოკუპირებულია.

შიდა ქართლის მხარე ღრმა თვითმყოფადი კულინარიული, ფოლკლორული და ტრადიციებით არის გამორჩეული. რეგიონში შემორჩენილია უძველესი ადგილობრივი ადათები, რელიგიური რიტუალები, ლოკალური დღეობები, თამაშობებები და სხვ. შიდა ქართლში ფართოდ და საყოველთაოდ გავრცელებული სპორტის სახეობა - ქართული ჭიდაობა კი იუნესკოს მსოფლიო არამატერიული კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობითი სიის წევრია.

საპროექტო ტერიტორიაზე და მის გარშემო 1 კილომეტრის დაცილებით არსებული ძეგლებია:

კოშკი (**N22884**[1]) მდებარეობს სოფელ ქსნის დასავლეთით, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მდინარიდან 40 მეტრზე (კოორდ. 41.869074 44.532574). წარმოადგენს XVIII საუკუნის ცილინდრული ფორმის სათავდაცვო ნაგებობას. კოშკი თავისი ეპოქის ტიპიური

[1] საიდენტიფიკაციოდ თითოეულ ობიექტთან ვუთითებთ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გეოსაინფორმაციო პორტალის საიდენტიფიკაციო ნომერს, რომლითაც დაინტერესების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ძეგლების შესახებ მონაცემთა მოძებნა.

ხუროთმოძღვრების ნიმუშია, რის გამოც, მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

კოშკი მტვრის პირას სოფ. ქსანთან

ნიჩბისისხევის სამაროვანი და ბორნისთავის ენეოლითური ნამოსახლარი (N24684, 24390) მდებარეობს მდ. მტკვრისა და ნიჩბურას ხერთვისში, ადგილ ბორნისთავზე (კოორდ. 41.860401 44.559574). წარმოადგენს 7 ჰექტარზე გაშლილ მრავალფენიან არქეოლოგიურ ძეგლს. სხვადასხვა წელს აქ განხორციელებული არქეოლოგიური გათხრებით დადასტურებულია ადრე სამიწათმოქმედო პერიოდის, გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანის, გვიანანტიკური და ადრე შუა საუკუნეების სამაროვნები და კულტურული ფენები. სამაროვანი ბოლომდე არაა შესწავლილი.

GPS კოორდინატები	463393.57 m E, 4634489.17 m N	Alt. 495 მ

აღწერის მიხედვით, ნამოსახლარიც და სამაროვანიც უნდა მდებარეობდეს საპროექტო არეალის ცენტრალური მონაკვეთის სამხრეთით, ხაზიდან 120 მეტრში. თუმცა, ადგილზე მისულებს, არქეოლოგიური ობიექტის დამადასტურებელი არანაირი ნიშანი არ შეგვიმჩნევია. დღეის მდგომარეობით, ნამოსახლარისა და სამაროვნის ტერიტორიაზე განთავსებულია რამდენიმე, ორ და სამრსართულიანი სახლები ეზო-ხეხილითა და ბაღ-ბოსტნით.

პერიოდი: ბრინჯაოს ხანა (ძვ. წ. IV-II ათასწლეულები).

ბორნისთავის ენეოლითური ხანის ნამოსახლარი მდებარეობს ახალ ნიჩბისში, მდ. მტკვრის მარჯვენა, მაღალ ტერასაზე. 1988 წელს შემთხვევით გამოვლინდა კულტურული ფენა. კულტურული ფენა წარმოდგენილი იყო უსისტემოდ განლაგებული

რიყის ქვებით, წაგრძელებული ფორმის ორი კერია-ნაცეცხლურის ნაშთით, თიხის ჭურჭლის ნატეხებით, ობსიდიანის, კაჟის, ბაზალტის ანატკეცებითა და ცხოველის ძვლების ფრაგმენტებით. ე.წ. კერიის ჩრდილოეთით, 4 მეტრის დაშორებით გაიწმინდა გეგმაში მრგვალი ორმო, რომელიც შევსებული იყო წითლად გამომწვარი ნაცროვანი ფენით. ნამოსახლარზე გამოვლენილი არტეფაქტებიდან საყურადღებოა თიხის ნაწარმი, ქვის მინიატურული სატეხი, რქაზე დამზადებული თოხისებრი სამეურნეო იარაღები და ძვლის სადგისი. თვით ნამოსახლარის გეგმარების შესახებ მონაცემები თითქმის არ მოგვეპოვება.

სამადლოს ნაქალაქარი (N20648) სამადლო. მდებარეობს N1 საპროექტო არეალის აღმოსავლეთი მონაკვეთის სამხრეთით 140 მ მანძილზე. მოზრდილ მინდორში, GPS კოორდინატები: 465351.67 m E, 4634156.48 m N; 465252.00 m E, 4634182.00 m N, სიმაღლე ზღვის დონიდან 525-530 მ.

პერიოდი: გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის ხანა; ადრე ანტიკური პერიოდი.

სამადლოს ნაქალაქარი მდებარეობს სოფ. ძეგვის ჩრდილო-დასავლეთით, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირას, ორ ბორცვზე. XX ს. პირველ ნახევარში აქ მოიპოვებდნენ კერამიკულ თიხას, რამაც ნაქალაქარი საგრძნობლად დააზიანა. სამადლო მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლია. პირველად აქ სამოსახლო გაჩენილა აღმ. ბორცვზე ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში. XIV-VII სს. აქ მდგარა თიხით შელესილი ძელური ნაგებობები, რომლებშიც აღმოჩნდა თიხის მინიატურული ჭურჭელი, საბეჭდავები, შესაწირი ,,ბორბლები“ და სხვ. მკვლევარებს ათიქრებინებს, რომ საქმე საკულტო დანიშნულების ნაგებობებთან უნდა გვქონდეს. ძვ.წ. VI-IV სს. ამავე აღმოსავლეთის ბორცვზე უკვე ნატეხი ქვითა და თიხის ხსნარით ნაგები შენობებია აშენებული. კედლები არმირებულია ხის ძელებით. მათგან გამოსაყოფია 14 კვ.მ ფართობის კოშკი, რომლის საძირკველი ქვითაა ნაგები, კედლები კი - ალიზით და რომელიც აქემენიდური ხანის კოშკური ტიპის ტაძრების მსგავსია. იგი ძვ.წ. IV-III სს. დანგრეულა, მაგრამ მალევე აღუდგენიათ და ქალაქის დანგრევამდე - ძვ.წ. II საუკუნემდე უარსებია. ძვ.წ. IV-II სს. სამადლო ქალაქია. ორივე ბორცვი მჭიდროდაა დასახლებული. იგი ქალაქის შიდაციხეა მძლავრი საფორტიფიკაციო, სასახლის ტიპისა და სატაძრო ნაგებობებით. სამადლოს დასავლეთი ბორცვი დატერასებულია. გამოვლენილ იქნა საფეხურებად განლაგებული 7 ხელოვნური ტერასა, რომლის საყრდენი კედლები აგებული რიყის ქვით, ნატეხი ქვითა და თიხის ხსნარით. გამაგრებულია გარდიგარდმო და გასწვრივ დატანებული ძელებით და ოთხკუთხა კონტრფორსებით. კედლები შელესილია ბზენარევი თიხით. საყრდენ კედლებს უკან სივრცე შევსებული და მოსწორებულია ქვის ღორღით და გადალესილია თიხით. ამგვარად მომზადებულ სუბსტრუქციაზე აგებულია ალიზის შენობები. სუბსტრუქციათა სისქეში ხშირად მოწყობილია სარდაფის ტიპის სათავსები. სამადლოს ნაგებობათა უმეტესობა ნაშენია ალიზით. შენობები გადახურულია დიდი ზომის წითლად შეღებილი

კრამიტით. კრამიტი სამნაირია: ბრტყელი, გვერდებაკეცილი, ღარისებრი და სპეციალური კეხის ღარისებრი. ზოგიერთი კრამიტის ზედაპირზე დაბეჭდეულია რიცხვების მნიშვნელობის ბერძნული ასო-ნიშნები. სამადლოზე იდგა ასევე თლილი ქვით ნაგები შენობები. კირქვის შედარებით მცირე ზომის ქვათლილები ერთმანეთზე ზოგჯერ ტყვიის გამირებით იყო გადაბმული. არქიტექტურული ფორმის დეკორის ელემენტებიდან შემორჩენილია მხოლოდ გვიანდელი აქემენიდური ხანისათვის დამახასიათებელი კირქვის რელიეფის ორი ფრაგმენტი, რომელზეც გამოსახულია ცხენოსანი გარეულ თხაზე ნადირობის დროს. სამადლოს ერთ-ერთ ტერასაზე გაითხარა ძვ.წ. IV-III სს. მიჯნის სამარხი აკლდამა, რომლის კედლები 2 მ სიმაღლემდე აგებულია რიყისა და ნატეხი ქვით და ხის ძელებითაა შეკრული, ზემოთ კი ალიზისაა. გადახურვა ძელური იყო, სახურავი - კრამიტის. აკლდამაში იდგა ხის ორი სარკოფაგი. მათგან ერთში შვიდი მიცვალებული იყო დაკრძალული, მეორე კი გაეძარცვათ. აღნიშნული აკლდამა 1912 წ. გამოვლენილი სამაროვნის სიახლოვესაა აგებული. სამაროვანზე გაითხარა თაბაშირით შელესილი ხის სარკოფაგები. მათგან ერთში 500-მდე ოქროს ნივთი აღმოჩნდა. სამადლო ელინისტურ ხანაში ორჯერ დანგრეულა და დამწვარა. ერთხელ ძვ.წ. III ს. დასაწყისში, მეორედ კი - ძვ.წ. II ს. 70-იან წლებში, რის შემდეგაც ცხოვრება აქ თანდათანობით შენელდა და იმავე საუკუნის ბოლოსთვის საბოლოოდ ჩაკვდა. სამადლოზე გათხილი ნაქალაქარი და არქეოლოგიური მასალა მეცნიერებს ავარაუდებინებს, რომ ძვ.წ. III-II სს. სამადლო, შესაძლოა, მეფეთა ერთ-ერთი რეზიდენციაც ყოფილიყო. სამადლოზე აღმოჩენილი მასალა მრავალფეროვანი და დახვეწილი ფორმებისაა. დიდ ჭურჭელზე ხშირია მხედართა ნადირობის სცენები ირმებზე და სხვა ცხოველებზე, ასევე ცხოველთა მსვლელობა, მამაკაცთა ფერხულის გამოსახვა.

სამადლოს ხიდი (N18583) მდებარეობს სოფელ ძეგვის დასავლეთით, სამადლოს ხევზე, მდინარე მტკრის ხერთვისიდან 200 მეტრში (კოორდ. 41.850777, 44.593988). ერთმალიანი ოდნავ შეისრული ფორმის ქვით ნაგები ხიდი გვიანი შუა საუკუნეების საინჟინრო ნაგებობის ნიმუშია, რის გამოც მას კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული.

ნაქალაქარი ნასტაკისი (N20462, 20474, 20480) მდებარეობს სოფელ ქსანში, მდინარე ქსნისა და მტკვრის ხერთვისში (კოორდ. 41.870955 44.575214). ძვ.წ. IV საუკუნისთვის ნასტაკისი ქალაქური ტიპის დასახლებაა და მცხეთის დედაქალაქობის დროს მცხეთის აგლომერაციის ნაწილს წარმოადგენდა თავისი უბნებით. თუმცა, როგორც დასახლება, გვიანბრინჯაოს ხანაში უკვე არსებობს. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აქ გათხრილია ძვ.წ. II-I ათასწლეულების ნამოსახლარი, რომელიც ნახევრად მიწური ალიზით ნაგები და ბანური გადახურვის სახლებისგან შედგებოდა. გვიანანტიკურ პერიოდში ნასტაკისში უკვე მრავალსენაკიანი ალიზის ნაგებობებია აშენებული. IV-VII საუკუნეებში ნასტაკისში უკვე რიყის ქვით ნაგები სახლები დგას. ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა საცხოვრებელ კომპლექსში ჩართული III საუკუნის ეკლესია. ნასტაკისის ადრე შუა საუკუნეების ფენაში გამოირჩევა სპასპეტის სასახლის ნაშთები, რომელიც მოიცავს მრავალსენაკიან ნაგებობას, მარანს, დარბაზს, რომაული ტიპის აბანოს და სამნავიან ბაზილიკას. ნასტაკისის ველზევე გათხრილია 200-მდე სამარხი ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული ახ.წ. VIII-IX საუკუნეებამდე. ნაქალაქარის ნაწილზე დღეს მინის ქარხანა დგას, მეორე ნაწილი განაშენიანებულია, ნაწილი კი გამოუყენებელია.

ნასტაკისის ნაქალაქარი

კვირაცხოვლის ეკლესია (N30965) მდებარეობს სოფ. ძეგვის ჩრდილო-დასავლეთით, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მინდორში, მდინარიდან 90 მეტრზე (კოორდ. 41.859153 44.600355). დარბაზული ეკლესია გვიან შუა საუკუნეებშია ნაგები და თავისი ეპოქის ერთ-ერთი ტიპიური ნიმუშია. რიგითი ძეგლებისგან გამოარჩევს ფასადში ჩადგმული ქართული წარწერა.

ქსნის კვირაცხოვლის ეკლესია

◊ **მეთოდოლოგიური გზამკვლევი**

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით არეალების არქეოლოგიური ზედაპირული დაზვერვები დაიყო სამ ეტაპად. პირველ ეტაპზე განხორციელდა ბიბლიოგრაფიული კვლევა. არქეოლოგიურ წრეებში, კერძოდ ბრინჯაოს, ელინისტური ხანის და შუასაუკუნეების მკვლევართა წრეში ფართოდ ცნობილია მტკვრის ხეობის არქეოლოგიური ნამოსახლარები და სამაროვნები.

მტკვრის სანაპიროებზე მდებარეობს ბრინჯაოს ხანის საეტაპო ძეგლები. ამიტომ ბიბლიოგრაფიულ კვლევის ეტაპზე, შევისწავლეთ სხვადასხვა არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ განხორციელებული არქეოლოგიური დაზვერვების ანგარიშები და საარქივე.

საარქივო მასალების შესწავლის დასრულების შემდეგ განხორციელდა დაზვერვითი საქმიანობის მეორე ეტაპის სამუშაოები. მეორე ეტაპის სამუშაოები მოიცავდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პორტალზე (memkvidreoba.gov.ge)

ატვირთული ობიექტების შესწავლას და მათ რუკაზე გადატანას. განხორციელდა საპროექტო არეალების მიმდებარედ არსებული ყველა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების რუკაზე დატანა. ამ ეტაპზევე მოვახდინეთ აეროფოტომასალების (არსებულის შემთხვევაში) დათვალიერება, ასევე აეროპროგრამების მეშვეობით, კიდევ ერთხელ გადავავლეთ თვალი და მოვნიშნეთ შესაძლო კულტურული მემკვიდრეობის/არქეოლოგიურად საინტერესო ობიექტები. შესწავლის ამ ეტაპზე გავითვალისწინეთ საერთაშორისო სტანდარტით არსებული ხილული ძეგლების ვიზუალური დაცვის არეალების რადიუსები და აქედან გამომდინარე, კვლევისას აღვნიშნეთ მხოლოდ ის ძეგლები რომელიც საპროექტო ტერიტორიაზე, ან მის გარეთ 1 კილომეტრ რადიუსშია მოქცეული.

დაზვერვების მესამე ეტაპი მოიცავდა არეალის ადგილზე მონახულებას. შემოწმდა, უკვე ცნობილი ინფორმაციის საფუძველზე, არსებული ობიექტების დღევანდელი მდგომარება, დაზუსტდა მათი სიახლოვის მანძილი არეალებთან. მოხდა ყველა არეალის გულდასმით დათვალიერება, მათი ფოტოფიქსაცია, საინტერესო ადგილების GPS კოორდინატთა UTM სისტემაში, GIS პროგრამის გამოყენებით წერტილების რუკაზე გადატანა. ძველი და ახალი არქეოლოგიური ობიექტების მონიშვნა. დაზვერვების დრიოს ასევე გამოვყავით არქეოლოგიურად სენსიტიური ადგილების არეალები, რომლებიც შემდგომ რუკაზე დავიტანეთ აღმოჩენის ალბათობის მაღალი და დაბალი პროცენტულობის მიხედვით.

არეალის აღწერა მიყვება აღმოსავლეთიდან დასავლეთით. რადგანაც არეალები მდებარეოენს მდ. მტკვარზე, ანუ მის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე საჭიროა მათი გაყოფა. რადგანაც ქართულ ენაში სიტყვები მარცხენა და მარჯვენა ორივე მ-ასოზე იწყება ამიტომ გამოვიყენებთ მის ინგლისურ შესატყვისს ლათინური ანბანით.

- მარჯვენა = R (Right)
- მარცხენა = L (Left)

თუ უნდა აღვნიშნოთ არეალიის მარჯვენა ნაპირი გამოვიყენებთ აბრევიატურას კასპი L, თუ უნდა აღვნიშნოთ მარჯვენა ნაპირი გამოვიყენებთ აბრევიატურას კასპი R.

რადგანაც არეალი 3-5 კმ-მდე მერყეობს თითო ნაპირზე ამიტომ კონკრეტიზაციისთვის საჭიროა გრძივი არეალის 4 ნაწილად დაყოფა (სექტორებად), აქაც ლათინურ ალფაბეტს გამოვიყენებთ და ინგლისურ სიტყვა Sector.

სექტორი = S (Sector)

რადგანაც არეალები დავნომრეთ აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ამ შემთხვევაშიც იგივე პრინციპს გამოვიყენებთ. ანუ ნუმერაცია გაყვება S1, S2 და ა.შ.

საბოლოოდ სრული აღნიშვნა იქნება ქსანი, მარცხენა სანაპირო, სექტორი 2 (ქსანი LS2) და ა.შ.

◊ **ტერიტორიაზე განხორციელებული არქეოლოგიური დაზვერვების შედეგები.**

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მდინარე მტკვრის დინების ხევში, ის კლაკნილად მიუყვება ველს. მდინარე ასევე შეედინება შეღრმავებებში, ამ შეღრმავების ნაპირებს კი მტკვრის გორა-ფერდები ქმნიან. საპროექტო ტერიტორიაზე იგეგმება მცირე ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობა. მშენებლობის შემდეგ მდინარე უნდა მოექცეს ნელი დაქანების დამბაში სადაც დამბის საწყისი არსებული ზედაპირის სიმაღლეს (462 მ) უდრის, ხოლო დამბის დასასრული 14 მ-დე სიმაღლის დამბას (485 მ), სადაც 11 მეტრის სიღრმის დატბორვა (482) მოხდება.

საპროექტო ტერიტორია ქსნის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ვიდრე ოხერახევის ნუშის ბაღებამდე დაიყო სექტორებად. მოხდა არეალების ადგილზე დათვალიერება მტკვრის მარჯვენა სანაპიროდან, აღწერასაც შესაბამისად მისი მარჯვენა სანაპიროდან დავიწყებთ. ტერიტორიის მდებარეობიდან გამომდინარე საპროექტო ტერიტორიის შემოგარენში მრავალი სხვადასხვა ეპოქის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი მდებარეობს. ჩვენ უკვე ცნობილ ობიექტებთან ერთად რამდენიმე საინტერესო, მაღალი სენსიტივობით გამორჩეული ადგილი დავაფიქსირეთ. ჩვენს აღწერაში ასევე შევიტანეთ თანამედროვე სასაფლაო, რომელიც როგორც კომპანიის მხრიდან გადმოცემულ რუკებზე ჩანს დატბორვის არეალში ექცევა.

არეალი როგორც უკვე აღვნიშნეთ დაიყო 4 სექტორად, სექტორები განსხვავდება მდინარის ნაპირის მდებარეობის მიხედვით. არეალის ოთხივე სექტორი მდებარეობს მდინარის მარჯვენა მხარეს, ნუმერაციით აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ასევე მდინარის მარცხენა მხარესაც იგივე ნუმერაციის პრინციპით.

ქსანი RS1 გრძელდება არეალის უკიდურესი აღმოსავლეთ წერტილიდან ვიდრე სამადლოს ნამოსახლარამდე. ტერიტორია ორტერასიან პლატოს ქმნის, ხოლო მდინარის კიდესთან ის ვერტიკალურად ეშვება მდინარემდე. როგორც ჩანს აქ არსებული მიწის ქანი მდინარის დინებისგან არის დაზიანებული. ამის გამო ის მოშიშვლებულია და მის კიდეებში კარგად ჩანს სტრატიგრაფიული ჭრილი. მთელ ჭრილში ფენები განლაგებულია თითქმის ერთი და იგივე განფენით მთელს S1 სიგრძეზე. აქ კლდოვან ქანს მდინარეული ნალექი ადევს ზემოდან, მდინარეული ნალექი წვრილი, ხრეშის ტიპის ქვებისა და ქვიშის ნარევს წარმოადგენს, ზოგ ადგილზე ჩანს საშვალო ზომის ქვების

ნაყარიც. მდინარეული ნალექი სხვადასხვა ადგილზე სხვადასხვა სისქის გეოლოგიურ ფენას ქმნის. თავად მდინარის ნაპირები მთლიანად მოქცეულია ხეობაში, თუმცა მის აღმოსავლეთ ნაწილში ის ფართოვდება და კუნძულის ტიპის ფორმირებას და მცირე ტბისმაგვარ ალაგს ქმნის.

მიწის ზედაპირი, დაზვერვების დროს, 40-50 სანტიმეტრამდე გამხმარი ბალახის მასით იყო დაფარული, თუმცა ამ ფაქტს ზედაპირის ვიზუალურ აღქმაში ხელი არ შეუშლია. ტერიტორიის აღმოსავლეთი ნაწილი დაფარულია ელექტროგადამცემი ანძებით, ასევე რამდენიმე ადგილზე შეიმჩნევა საბჭოთა პერიოდის შენობების რკინა-ბეტონის ნაშთები/ნარჩენები. ამავე სექტორის შუა ნაწილში მდებარეობს ახალაშენებული მცირე საყდარი. მცირე საყდარსა და მდინარეს შორის დაფიქსირდა რიყის ქვის კედლის ნაშთები (ობიექტი N1). ჩვენ ამ ნაშთებს მოვიხსენიებთ როგორც „ობიექტი 1“ GPS კოორდინატები: 466511.00 m E, 4633940.00 m N, სიმაღლე ზღვის დონიდან 473 მ. პერიოდი: დაუდგენელია.მდებარეობს სოფ. ძეგვიდან მტკვრისკენ მიმავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გრუნტის გზის მარცხენა მხარეს, N1 საპროექტო არეალის უკიდურესი აღმოსავლეთი (შეტბორვის) მონაკვეთის სამხრეთით 140 მ მანძილზე.

სავარაუდო არქეოლოგიური ობიექტი წარმოადგენს რიყის ქვის წყობის ნაშთს, რომელიც 8-10 მ სიგრძეზე მოჩანს წარწულში გზის გაჭრის შედეგად წარმოქმნილ ჭრილში. ზედაპირი მეტნაკლებად სწორია, მცირეოდენი ამობურცულობითა და ხშირი ბალახით. არქეოლოგიური არტეფაქტები არ ფიქსირდება.

სავარაუდო არქეოლოგიური **ობიექტი 2** „წყობა-კედლები“. GPS კოორდინატები: 466395.00 m E, 4634161.00 m N, სიმაღლე ზღვის დონიდან 473 მ.პერიოდი: დაუდგენელია.

მდებარეობს N1 საპროექტო არეალის უკიდურესი აღმოსავლეთი (შეტბორვის) მონაკვეთის სამხრეთით 16 მ მანძილზე. ნიველირებულ მოზრდილ მინდორში, ხშირი ბალახოვან საფარში შეიმჩნევა რიყის ქვით შედგენილი კედლების ფრაგმენტები. სიგანე - 40-50 სმ, სიგრძე 8-10 მ და მეტი. კედელთა დამხრობა ძირითადად აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზეა გამართული, თუმცა ფრაგმენტულად მათი მართობული მიმართულებებიც გვხვდება.

ქსანი RS1 -ის შემდეგი საინტერესო ობიექტი სამადლოს ნამოსახლარია. მიუხედავად ბალახის საფარისა შენობის ნაშთები/კედლები მიწის ზედაპირზევე ჩანს. შენობების გეგმარება ასევე კარგად ჩანდა google maps -ის აეროფოტოზე. სამადლოს ნამოსახლარის ფერდობი მტკვრის სანაპიროდან ახლოსვე მდებარეობს პირდაპირი ხაზით. მის გადასწვრივ, მტკვრი ნაპირზე ქვიშის კარიერია გაკეთებული.

ქსანი RS2 -ის აღმოსავლეთი კლდოვანი ადგილია, კლდოვანი, მოყვითალო თირის ტიპის ფორმირება სიგრძეზე მიუყვება მდინარეს. სექტორის მეორე ნახევარი სოფელ ბორნისთავის სავარგულებია. ამ სავარგულებზე დაფიქსირდა ობიექტი 2, ქვის სტრუქტურა და რამოდენიმე კერამიკული ნატეხი. თავად სოფელში მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პლატფორმაზე მონიშნული ბორნისთავის ენეოლითური ნამოსახლარი. ამ ნამოსახლარის ნაშთები მიწის ზედაპირზე არ დაფიქსირდა, თუმცა როგორც არქეოლოგიური პრაქტიკა აჩვენებს, უკვე შესწავლილი არქეოლოგიური ობიექტების, განსაკუთრებით ადრეული პერიოდის ძეგლების კვალი იშლება მათი გათხრის შემდეგ.

ქსანი RS3 არის ტერიტორია სოფლიდან ვიდრე ქვიშის კარიერამდე. აქ არსებული ნაპირი ტყიანი და ჭაობიანია. ამ სექტორში საინტერესო ობიექტი არ გამოვლენილა.

ქსანი RS4 მთლიანად დაფარულია ნუშის ბაღებით. ტერიტორიაზე დაფიქსირდა ორი საინტერესო ადგილი. პირველი ეს არის გვიანი შუა-საუკუნეების კოშკი და მისი მიმდებარე ტერიტორია, რომელიც უშუალოდ მდინარის სანაპიროზეა ლოკალიზებული. მრგვალი ფორმის კოშკის ნანგრევი რიყის ქვებით არის ნაგები, მის გარშემო კერამიკული ნატეხები არ დაფიქსირებულა. მეორე საინტერესო ადგილი ამ ნუშის ბაღების ტერიტორიაზევეა, მდინარე მტკვართან ახლოს. აქ 2010 წელს იმუშავა ქართულ-იტალიურმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ. 2010 წლის არქეოლოგიური სეზონის დროს შეისწავლეს ორი, მარტყოფსა და ბედენური კულტურების პერიოდის, ადრებრინჯაოს ხანის მცირე ყორღანები. ექსპედიციის მიმდინარეობისას ასევე შესწავლილი ყორღანების მახლობლად დაფიქსირდა სხვა მცირე ყორღანებიც, რომლებიც კვლავ შეუსწავლელია.

ქსანი LS1 - მდებარეობს მდიარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე, სოფელ ქვემო ხანდაკის აღმოსავლეთ პერიფერიასთან, კვერნაქის ქედის სამკრეთ კალთის სიახლოვეს. საქართველოს ცენტრალური სარკინიგზო ხაზის გასწვრივ. საპროექტო ტერიტორიის აღნიშნული მონაკვეთი დასახლებული არ არის. ამასთანავე, სპეციალურ ლიტერატურაში მატერიული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი დასახელებულ მონაკვეთში ცნობილი არ არის. კულტურულად სენსიტიური ლოკაციები არც საველე დაზვერვების დროს დადასტურებულა.

ქსანი LS2 - მდებარეობს მდინარე მტკვრის მარცხენა და მდინარე ქსნის მარჯვენა სანაპიროზე, სოფელ ხიდისყურის ტერიტორიაზე. საპროექტო არეალი უშუალოდ ებჯინება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს, სახნავ-სათეს სავარგულებსა და საცხოვრებელ სახლებს. ამასთანავე, მას უშუალოდ კვეთს საქართველოს ცენტრალური სარკინიზო გზა და მისთვის მოწყობილი, მდინარე ქსანზე გადებული ხიდი.

ქსანი LS3 - მდებარეობს მდინარე მტკვრის და მდინარე ქსნის მარცხენა სანაპიროებზე. სოფელი ქსნის დასავლეთ და სამხრეთ პერიმეტრის გასწვრივ - მდინარის ჭალებსა და დასახლებების სიახლოვეს. სოფელი ქსანი და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საქართველოს მატერიული კულტურის მრავალი ძეგლი არის დადასტურებული. მათგან აღსანიშნავია ქსნის ციხე[2], ნასტაგისის ველი, ადრეული ბრინჯაოს ხანის რამდენიმე ნასახლარი და სხვ.

გასათვალისწინებელია, რომ საპროექტო ტერიტორია, სამხრეთიდან 50 მ-ის დაშორებით ესაზღვრება სოფელი ქსნის თანამედროვე სასაფლაოს. აღმოსავლეთიდან, ასევე 50 მ-ის დაშორებით კი ქსნის აგურ-კრამიტის ქარხანას.

ქსანი LS4 - მდებარეობს მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, სოფელ ქსნის აღმოსავლეთ საზღვის გასწვრივ. საპროექტო ტერიტორია სამხრეთიდან ესაზღვრება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს, ბაღ-ვენახებსა და საქართველოს რკინიგზის ხაზს. ამასთანავე, სამშენებლო ხაზის ჩრდილოეთით, 300 მ-ის დაშორებით მდებარეობს ქსნის N 15 პენიტენციური დაწესებულება; ჩრდილო-აღმოსავლეთით 145 მ-ის დაშორებით კი კვირაცხოვლის ეკლესია.

	ქსანი	აღწერა		
	N1 ობიექტი	სავარაუდო ნაგებობის ნაშთი (?). მდებარეობს არეალის უკიდურესი აღმოსავლეთი მონაკვეთის სამხრეთით, შეტბორვის ზონიდან 140 მეტრში	466511.13 m E	4633940.35 m N
	N2 ობიექტი	სავარაუდო ნაგებობის კედლების ნაშთი (?). მდებარეობს არეალის უკიდურესი აღმოსავლეთი მონაკვეთის (შეტბორვის ზონა) სამხრეთ-	466395.30 m E	4634161.05 m N

[2] ტექსტში ნახსენები ყველა ძეგლი აღწერილია ნაშრომის შესაბამის თავში. მოყვანილია შესაბამისი მითითება

		დასავლეთით 17-18 მეტრში		
	N3 ობიექტი	მდინარის პირას, ნიადაგის ჭრილში ჩანს კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტები. მდებარეობს არეალის აღმოსავლეთ მონაკვეთის (შეტბორვის ზონა)	465111.86 m E	4634474.35 m N
	N4 ობიექტი	სამადლოს ნაქალაქარი. საკმაოდ ვრცელ (5-6 ჰა) მინდორზე მოჩანს ნაგებობათა კედლების ფრაგმენტები. მდებარეობს არეალის აღმოსავლეთი მონაკვეთის სამხრეთით, ზონიდან 450 მეტრში. თუმცა, ტერიტორიის ნიველირების გამო, ეტყობა, მანქანებით ხდება მიმოსვლა. გასათვალისწინებელია	465252.07 m E	4634182.41 m N
	N5 ობიექტი	გვიანი შუა საუკუნეების კოშკი, საკმაოდ ძლიერ დაზიანებული. მდებარეობს არეალის დასავლეთი მონაკვეთის სამხრეთით, ზონიდან 50 მეტრში, გზის პირას. გასათვალისწინებელია წყლის დონის მატება და მძიმე ტექნიკით მიმოსვლა	461210.21 m E	4635340.39 m N
	N6 ობიექტი	ნასოფლარი. შეიმჩნევა ნაგებობათა კედლების ფრაგმენტები. მდებარეობს არეალის ცენტრალური მონაკვეთის ჩრდილოეთით, ზონიდან 550 მეტრში, სამანქანო გზის პირას. გასათვალისწინებელია	464513.48 m E	4635871.28 m N

		მძიმე ტექნიკის მოძრაობის დროს		
	N7 ობიექტი	ნასტაგისის ნამოსახლარი და სამაროვანი, ბაზილიკა. მდებარეობს არეალის ცენტრალური მონაკვეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ზონიდან 510 მეტრში, სამანქანო გზის პირას. გასათვალისწინებელია მძიმე ტექნიკის მოძრაობის დროს	464716.35 m E	4635454.20 m N
	N8 ობიექტი	ტაძარი. მდებარეობს არეალის აღმოსავლეთით, შეტბორვის ზონიდან 150 მეტრში	466833.19 m E	4634211.25 m N
	N9 ობიექტი	ნაგებობის კედლის ფრაგმენტი (?). მდებარეობს არეალის ცენტრალური მონაკვეთის ჩრდილოეთით, ზონიდან 30 მეტრში.	462732.08 m E	4634814.14 m N
	N10 ობიექტი	ნაგებობის კედლის ნაშთი (?). იკრიფება ასევე კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტებიც. მდებარეობს არეალის ცენტრალური მონაკვეთის ჩრდილოეთით, ზონიდან 80 მეტრში.	462617.90 m E	4635153.20 m N

◊ **რეკომენდაციები და შემარბილებელი ღონისძიებები**

ტერიტორიის დაზვერვების დროს გამოვლინდა როგორც აქამდე უცნობი არქეოლოგიური ობიექტები, ასევე დაზუსტდა უკვე აღმოჩენილი არქეოლოგიური ობიექტები. იმის გათვალისწინებით, რომ ტერიტორია დახუნძლულია როგორც არქეოლოგიური ასევე სხვა კულტურუი მემკვიდრეობის ძეგლებით, აუცილებელ პირობად მიგვაჩნია, რომ მიწის სამუშაოების საწყისი ეტაპის განხორციელების პერიოდში არქეოლოგიური მეთვალყურეობა/მონიტორინგი განხორციელდეს. ასევე აუცილებელია მშენებლობის ეტაპზე შეიქმნას ბუფერული ზონები იმ ცნობილ და ახლად გამოვლენილ არქეოლოგიურ ძეგლებზე, რათა მოხდეს მათი სრული დაცვა.

რაც შეეხება ხილვადი ძეგლების და საპროექტო ტერიტორიის მახლობლად მდებარე არქეოლოგიური ძეგლის შემთხვევას საპროექტო ტერიტორიაზე, გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები.

- კოშკი -- ვინაიდან კოშკი საპროექტო ტერიტორიის ქსნის მონაკვეთის ბუფერული ზონის ნაპირზე დგას, ხოლო ამ ადგილას დაგეგმილი სამუშაოები გულისხმობს მტკვრის დონის მატებას და ჯებირის მშენებლობას ძეგლის ფიზიკური დაცვის ზონაში, რეკომენდირებული იქნება ძეგლზე მოსალოდნელი ზემოქმედების რისკის შეფასება და საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან.

- ნიჩბისისხევის სამაროვანი და ბორნისთავის ენეოლითური ნამოსახლარი -- არქეოლოგიური ობიექტი მდებარეობს საპროექტო ტერიტორიის ქსნის მონაკვეთის ბუფერული ზონის ნაპირზე, ამიტომ აუცილებელი იქნება სამუშაოები წარიმართოს არქეოლოგის მეთვალყურეობით.
- სამადლოს ნაქალაქარი საპროექტო ტერიტორიის ბუფერული ზონის ნაპირთან მდებარეობს, ხოლო თუ ამ ადგილას დაგეგმილი სამუშაოები გულისხმობს მტკვრის დონის მატებას და ჯებირის მშენებლობას ობიექტის მიმდებარედ. შესაბამისად, აუცილებელი იქნება არქეოლოგიურ ობიექტზე მოსალოდნელი ზემოქმედების რისკის შეფასება და მისი დამცავი ღონისძიებების განხორციელება. თუ ტერიტორია არ მოხვდება სამშენებლო ზონაში, მაშინ მასთან მიმდინარე მიწის სამუშაოების ეტაპი უნდა შეთანხმდეს არქეოლოგიურ მეთვალყურეობის პარალელურად.
- სამადლოს ხიდი -- საპროექტო ტერიტორიის ქსნის მონაკვეთის ბუფერული ზონის აღმოსავლეთ კიდიდან 830 მეტრითაა დაშორებული და გეოგრაფიული განფენილობის გამო, პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა ძეგლზე ზემოქმედებას ვერ მოახდენს.

- ნაქალაქარი ნასტაკისის ტერიტორია მდებარეობს ქსნის მონაკვეთის მდინარე ქსნის შეტბორვის ბუფერის ჩრდილო-აღმოსავლეთით. შესაბამისად, მიწის სამუშაოებისას აუცილებელი იქნება აქ საქმიანობის წარმართვა არქეოლოგის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ.
- კვირაცხოვლის ეკლესია საპროექტო ტერიტორიის ქსნის მონაკვეთის ბუფერული ზონის აღმოსავლეთ კიდიდან 90 მეტრითაა დაშორებული. საჭირო იქნება მასზე მოსალოდნელი ზემოქმედების რისკების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებების გატარება.



სურ 1. საპროექტო ტერიტორიის რუკა

დანართი 2.

სურ NN2-4. საპროექტო ტერიტორიის ჩრილო აღმოსავლეთი კუთხე, LS1-2.

სურ NN5-7. საპროექტო ტერიტორიის ჩრდილო აღმოსავლეთით მდებარე კვირაცხოვლის ეკლესია

სურ NN8-9. ნასტაკისის ველი

სურ NN10-11. ნასოფლარი ქსნის ციხესთან

სურ NN12-16. ქსნის სასაფლაო და მისი მიმდებარე ტერიტორია.

სურ NN17-18. ქსნის აგურ-კრამიტის ქარხანა. ტერიტორიის აღმოსავლეთი ნაწილი

სურ N19. ობიექტი . ვერტიკალურ ჭრილში გამოვლენილი ქვის კედლის წყობა. ქსანი RS1

სურ N20. ობიექტი . ზედაპირზე გამოვლენილი ქვის კედლის წყობა. ქსანი RS1

სურ NN21-26. საპროექტო ტერიტორია ქსანის ჩრდილო დასავლეთი ნაწილი.

სურ NN27-29. საპროექტო ტერიტორიის ცენტრალური ნაწილი, ხიდისყურის ტერიტორია.

სურ NN30-32. საპროექტო ტერიტორიის ცენტრალური ნაწილი.